საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტი

29 მაისი, 2018 წ.

სარჩევი

მუხლი 1. ძირითადი დებულებები..... **2**

მუხლი 2. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა..... **2**

მუხლი 3. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება..... **2**

მუხლი 4. ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირების და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები..... **4**

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტის ძალაში შესვლა..... **7**

მუხლი 1. ძირითადი დებულებები

1. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“) საბჭოს რეგლამენტის შემუშავებისა და დამტკიცების საფუძველია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი”) წესდება.
2. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, ფაკულტეტის მართვის ორგანო.
3. ფაკულტეტის საბჭო ახორციელებს საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, უნივერსიტეტის წესდებით, ფაკულტეტის დებულებით, ამ რეგლამენტითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

მუხლი 2. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა

1. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
2. აკადემიურ პერსონალს შეადგენს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.
2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა შეადგენს საბჭოს სრული შემადგენლობის 1/3-ს.

მუხლი 3. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება 1.

ფაკულტეტის საბჭო:
ა)განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;
ბ) ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;
გ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;
დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
ე) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურას, დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს);
ვ) წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;
ზ) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს;
თ) ქმნის ფაკულტეტის ეთიკის კომისიას და ამტკიცებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

ი) იღებს გადაწყვეტილებას, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე. ახორციელებს ფაკულტეტის სტუდენტის მიმართ დისციპლინურ საქმისწარმოებას. (სტუდენტის უფლება–მოვალეობები განსაზღვრულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით).

კ) ქმნის ფაკულტეტის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს, მათ შორის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივ კომისიას;

ლ) განიხილავს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით;

მ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;

ნ) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრებს ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში;

ო) იღებს გადაწყვეტილებებს საკუთარი ფუნქციების ფაკულტეტის სათათბიროზე დელეგირების შესახებ, გარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით პირდაპირ განსაზღვრული უფლებამოსილებებისა;

პ) ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტს.

რ) განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე პირის ასარჩევად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ს) განსაზღვრავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე პირის ასარჩევად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ტ) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს კანდიდატურას საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების მიზნით. საპატიო დოქტორის წოდება შეიძლება მიენიჭოს უნივერსიტეტის მიმართ გაწეული განსაკუთრებული ღვაწლის დაფასების მიზნით საქართველოსა და უცხო ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერს, სახელმწიფო ან/და საზოგადო მოღვაწეს.

უ) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს კანდიდატურას ემერიტუსის წოდების მინიჭების მიზნით. ემერიტუსის წოდება შეიძლება მიენიჭოს განსაკუთრებული დამსახურებისათვის პირს, რომელიც უნივერსიტეტში ეწევა ნაყოფიერ სასწავლო–სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, აგრეთვე, საქართველოსა და უცხო ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერს, სახელმწიფო ან/და საზოგადო მოღვაწეს.

ფ) ამტკიცებს ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შეფასებისა და დამტკიცების კომისიის დებულებას; ასევე, ამტკიცებს ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით პროექტებს.

ქ) ასრულებს სხვა უფლებამოსილებებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფარგლებში.

მუხლი 4. ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირების და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის შესაბამისად. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების შემთხვევაში პირს ავტომატურად უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი.
2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა უნდა იყოს საბჭოს წევრთა შემადგენლობის 1/3. რაოდენობის მაჩვენებელ მთელ რიცხვად დამრგვალება ხდება სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა სასარგებლოდ. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას. ახალი წევრების წარდგენა და მათი უფლებამოსილების ცნობა ხდება დადგენილი წესით.
3. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი;
4. ფაკულტეტის საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით.
5. ფაკულტეტის საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ან დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.
6. ახლადარჩეული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის ფაკულტეტის საბჭოში ახლადარჩეული წარმომადგენლების უფლებამოსილების ცნობა ხდება ფაკულტეტის საბჭოს უახლოეს სხდომაზე;
7. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს დეკანი. დეკანის არყოფნის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ან დეკანის მოადგილე. (თუ დეკანის მოვალეობის შემსრულებელი არჩეულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ამ შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარეობს დეკანის მოვალეობის შემსრულებელი).
8. ფაკულტეტის საბჭო ირჩევს ფაკულტეტის დეკანს ოთხი წლის ვადით ფარული კენჭისყრით. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ.
9. ფაკულტეტის საბჭო ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ოთხი წლის ვადით ფარული კენჭისყრით. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ.
10. ფაკულტეტის საბჭო ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მდივანს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით ღია კენჭისყრით. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ფუნქციები განისაზღვრება თანამდებობირივი ინსტრუქციით.
11. ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგის პროექტს შეიმუშავებს ფაკულტეტის დეკანი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო სხდომის დაწყებისთანავე.
12. ფაკულტეტის საბჭოს მოწვევის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს (დეკანს) ან დეკანის მოვალეობის შემსრულებელს. დეკანის არყოფნის შემთხვევაში

ფაკულტეტის საბჭოს მოწვევის უფლება აქვს საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ს ან დეკანის მოადგილეს.
13. ფაკულტეტის საბჭო ნიშნავს ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებს.
14. ფაკულტეტის დეკანის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების ჩასატარებლად ფაკულტეტის საბჭოს მიერ იქმნება ფაკულტეტის საარჩევნო კომისია. კომისიის შემადგენლობა და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულებით.
15. ფაკულტეტის დეკანის მორიგი არჩევნების ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დეკანის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებს ნიშნავს ფაკულტეტის საბჭო.
16. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშვნის შესახებ ფაკულტეტის საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განისაზღვრება: დეკანობის კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების ვადები. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და მისი გამოქვეყნების თარიღი.
17. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.
18. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მორიგ არჩევნებს ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებს ნიშნავს ფაკულტეტის საბჭო. არჩევნების დანიშვნის შესახებ ფაკულტეტის საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განისაზღვრება: კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების ვადები. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და მისი გამოქვეყნების თარიღი.
19. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს, ხოლო სხდომას თავმჯდომარეობს საბჭოს დამსწრე უხუცესი წევრი; ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;
20. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო ნიშნავს მოვალეობის შემსრულებელს და უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ნიშნავს არჩევნებს.
21. ფაკულტეტის საბჭო იკვლევს ყველა მტკიცებულებას, რომლებიც სტუდენტის დისციპლინური წარმოების საფუძველია. სტუდენტის დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და

ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს.
22. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული სადისერტაციო საბჭოს დებულებით, რომელსაც ფაკულტეტის საბჭო წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
23. ფაკულტეტის საბჭო კომისიების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ღია კენჭისყრით.
24. ფაკულტეტის საბჭო, ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე.
25. ფაკულტეტის საბჭო, ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, აკადემიური პერსონალიდან ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრებს ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში.
26. ფაკულტეტის საბჭო, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ღია კენჭისრყით, იღებს გადაწყვეტილებებს საკუთარი ფუნქციების ფაკულტეტის სათათბიროზე დელეგირების შესახებ, გარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით პირდაპირ განსაზღვრული უფლებამოსილებებისა. დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროა სოციალური დახმარებები, სამეცნიერო მივლინებები, ჯილდოები, პრემიები და სხვა.
27. ფაკულტეტის საბჭო, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ღია კენჭისყრით, ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტს.
28. ფაკულტეტის საბჭო ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიურ საბჭოსთვის წარსადგენ კანდიდატურას საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების მიზნით.
29. ფაკულტეტის საბჭო ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოსთვის წარსადგენ კანდიდატურას ემერიტუსის წოდების მინიჭების მიზნით.
30. ფაკულტეტის საბჭოს ყველა წევრი (ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი) და ფაკულტეტის საბჭოს სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები ირჩევს აკადემიური საბჭოს წევრებს.
31. ფაკულტეტის საბჭო ღია კენჭისყრით დამსწრეთა უმრავლესობით ამტკიცებს ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შეფასებისა და დამტკიცების კომისიის დებულებას; ხოლო, ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ამტკიცებს ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით პროექტებს (ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი და დეკანის მოხსენებითი ბარათი, შემდგომი მსვლელობისთვის წარედგინება სტუ-ს რექტორს).
32. ფაკულტეტის საბჭოს ყოველი სხდომის თაობაზე ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს (სხდომის) თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტის ძალაში შესვლა

ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტი ძალაში შედის ფაკულტეტის საბჭოს მიერ რეგლამენტის დამტკიცებისთანავე.

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე ივანე ჯაგოდნიშვილი